მარიამი გოგსაძე | რევაზ თოფურია
თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
r.topuria@freeuni.edu.ge | mgogs21@freeuni.edu.ge

ურთიერთობა ქართველ სტუდენტებსა და დეზინფორმაციას შორის

რეზიუმე

მსოფლიო მასშტაბით ცრუ ინფორმაციის გავრცელება რთულ გამოწვევად იქცა. ყალბი ინფორმაცია განსაკუთრებით საშიშია იმ ქვეყნებში, სადაც მედია ლანდშაფტი პოლარიზებულია და არ არის საკმარისი კვლევა ან მონაცემები ამ თემის შესასწავლად, მაგალითად, საქართველოში. ეს კვლევა სწავლობს პირველკურსელი სტუდენტების პოლიტიკური კრიტიკული აზროვნების დონესა და მათ მიერ პოლიტიკური ინფორმაციის მიღებისას ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ ნარატივებს შორის ურთიერთკავშირს. კვლევა დაფუძნებულია სტრუქტურირებულ კითხვარზე, რომლის მეშვეობითაც გამოიკითხა 41 სხვადასხვა აკადემიური მიმართულების სტუდენტი. გამოკითხვის მეშვეობით გამოვლინდა კონკრეტული ტენდენციები თუ როგორ ამოწმებენ ისინი ინფორმაციას, განმარტავენ პოლიტიკურ კონტენტსა და აყალიბებენ მოსაზრებებს. თეორიული ჩარჩო ეფუძნება კლერ უორდლისა და ჰოსეინ დერახშანსის „ინფორმაციული არეულობის“ მოდელს, რომელიც ცრუ ინფორმაციის ტერმინებსა და მასში არსებულ ოპერატიულ ელემენტებს სხვადასხვა ტიპის აკადემიურ კატეგორიებად ჰყოფს. მიუხედავად იმისა, რომ კვლევის ვიწრო მასშტაბი არ იძლევა ფართო დასკვნების გაკეთების საშუალებას, შედეგებში ჩანს, რომ მაღალი პოლიტიკური კრიტიკული აზროვნების უნარების სტუდენტები ავლენენ უფრო გააზრებულ, დემოკრატიულ და სამოქალაქო პასუხისმგებლობის ნარატივებს, ხოლო დაბალი პოლიტიკური კრიტიკული აზროვნების უნარების მქონე სტუდენტები ხშირად უფრო პასიურები არიან და მათთან დაკავშირებული ნაკლებად კონკრეტული იდეები ან ნარატივებია. ეს ნაშრომი მიზნად ისახავს იმის გაგებას, თუ როგორ აღიქვამენ ახალგაზრდა ქართველი სტუდენტები პოლიტიკურ ინფორმაციას. ეს კვლევა ხაზს უსვამს კრიტიკული პოლიტიკური აზროვნების უნარების განვითარების მნიშვნელობას. იმის დემონსტრირებით, თუ როგორ აღიქვამენ და ამუშავებენ ახალგაზრდა ქართველი პირველკურსელები პოლიტიკურ ინფორმაციას, ეს კვლევა გააღრმავებს პოლიტიკური კრიტიკული აზროვნების უნარების სოციალურ აღიარებას და მნიშვნელობას, რაც მნიშვნელოვან საფუძველს შეუქმნის პედაგოგებს, კანონმდებლებს და სამოქალაქო საზოგადოებას.

საკვანძო სიტყვები: დეზინფორმაცია, პოლიტიკური კრიტიკული აზროვნება, პოლიტიკური ნარატივები, ქართველი პირველკურსელი სტუდენტები.

შესავალი

ცრუ ინფორმაციის ცირკულაცია არ არის ახალი ფენომენი, მას ღრმა ისტორიული საფუძვლები აქვს. სანამ ტერმინი „ცრუ ინფორმაცია“ ფართოდ გამოყენებადი გახდებოდა, ყველა ახალი ამბავი, მხოლოდ ინფორმაციას წარმოადგენდა. ცრუ ინფორმაციის სწრაფი გავრცელება პირდაპირ არის კავშირში საკომუნიკაციო ტექნოლოგიის განვითარებასთან, კონკრეტულად მის სიჩქარესა და

მასშტაბთან. პირველი დიდი ნახტომი მოჰყვა საბეჭდი მანქანის გამოგონებას გუტენბერგის მიერ (Soll 2019). თუმცა დღეს ცრუ ინფორმაციის გავრცელების თითქმის ყველა ასპექტი გარდაიქმნა მსოფლიოში სოციალური პლატფორმების მკაფიო გავრცობასთან ერთად. ცრუ ინფორმაციის გავრცელების სრული ციკლი, დაწყებული მისი შექმნით და დამთავრებული მისი გაზიარებით, გახდა უფრო ხელმისაწვდომი და მარტივი. თითქმის ყველა ინდივიდს, რომელსაც აქვს საკმარისი დრო, წარმოსახვის უნარი და სურვილი, შეუძლია შექმნას ცრუ ინფორმაცია.

გეოგრაფიული საზღვრები, რომლებიც აქამდე არსებობდა, აღარ წარმოადგენს გამოწვევას ცრუ ინფორმაციისათვის. ციფრულ სამყაროში დეზინფორმაცია ვრცელდება არა მხოლოდ ინტერნეტის სამყაროში, არამედ ის აღწევს ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაშიც, თანაც არანაკლები სიჩქარით (Bradd n.d). იქიდან გამომდინარე, რომ ცრუ ინფორმაციის შექმნა და გავრცელება უფრო და უფრო მარტივი ხდება, მისი ამოცნობა და ხალხის თვალში გაცრუება წარმოადგენს სერიოზულ გამოწვევას. ცრუ ინფორმაცია გვხვდება სხვადასხვა ფორმით და განმარტებით, რაც იწვევს დაბნეულობას და კიდევ უფრო ართულებს მასთან გასამკლავებელი მექანიზმების შექმნას. განსაკუთრებით სახიფათოა ის ფაქტი, რომ უმეტესად ცრუ ინფორმაცია ტრიალებს სოციალურ ქსელებში, სწორედ იქ, სადაც ინდივიდების უმრავლესობა სიახლეებს ეძებს. ამგვარი ინფორმაციის გავრცობის დინამიკა ქმნის კავშირს დეზინფორმაციას, საჯარო გათვითცნობიერებასა და პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებულ კრიტიკულ უნარებს შორის (Youngs 2025).

დეზინფორმაციის მიერ გამოწვეული საშიშროებები განსაკუთრებით დიდია საქართველოში, სადაც პოლარიზებული მედია და დიდი დამოკიდებულება სოციალურ ქსელებზე მანიპულაციის რისკის ქვეშ აყენებს ხალხს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს. პირველკურსელი სტუდენტები არიან პოლიტიკური შეხედულებების ჩამოყალიბების კრიტიკულ ეტაპზე, მაგრამ კვლევა, რომელიც შეისწავლის მათ უნარს, კრიტიკულად შეაფასონ პოლიტიკური ინფორმაცია, მწირია. ეს კვლევა შეისწავლის არა მხოლოდ იმას, თუ როგორი კრიტიკული აზროვნების უნარი აქვთ პირველკურსელ სტუდენტებს, არამედ იმასაც თუ როგორ უკავშირდება ზოგად პოლიტიკურ ნარატივებს, რომლებსაც სტუდენტები თხზავენ. შესაბამისად, ის ნათელს ჰფენს იმას, თუ როგორ გავლენას ახდენს დეზინფორმაცია საქართველოს დემოკრატიულ გამძლეობაზე.

მეთოდოლოგია

დეზინფორმაცია გლობალური ფენომენია, რომელსაც საგრძნობი გავლენა აქვს სხვადასხვა პოლიტიკურ გარემოებებზე, მათ შორის ისეთზე, როგორიც საქართველოშია. ამ კვლევის ცენტრალური ფოკუსია კონკრეტულად დეზინფორმაცია და არა მხოლოდ „ცრუ ინფორმაციის“ სიზოგადე, რადგან პირველხსენებული არის განზრახ მცდარი ან მანიპულაციური ინფორმაციის შემცველობის კონტენტი, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოლიტიკურ კონტექსტში. უფრო დეტალური განმარტება ამ ნაშრომში მოგვიანებით იქნება წარმოდგენილი. ამ კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს პირველკურსელი სტუდენტების მიერ დეზინფორმაციის მიმართ დამოკიდებულისა და ჩართულობის შესწავლა, ასევე იმ ნარატივებზე დაკვირვება, რომლებსაც ისინი გამოიმუშავებენ. თეორიული ჩარჩო ეყრდნობა ქლეირ ვარდლისა და ჰოსეინ დერაკშანსის “Information Disorder” მოდელს, რომელიც აკადემიურად ახდენს სხვადასხვა სახის ცრუ ინფორმაციის და მათში ოპერატიული ელემენტების კატეგორიზაციას. აქ, პოლიტიკურ კრიტიკულ აზროვნებაში იგულისხმება უნარი, შეაფასო, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენო და გადაამოწმო პოლიტიკური ინფორმაცია მანამ, სანამ კონკრეტულ შეხედულებას ჩამოაყალიბებ.

კვლევის ცენტრალური თემაა შემდეგი კითხვის პასუხის პოვნა: „რა კავშირია პირველკურსელი სტუდენტების პოლიტიკური ინფორმაციისადმი კრიტიკული მიდგომის დონესა და მათ მიერ

ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ ნარატივებს შორის?“ მთავარი საშუალება კი არის შუალედური ინდიკატორების გამოყენება იმის შესასწავლად, თუ რა ტიპის კავშირები ან კორელაციები შეიძლება გამოვლინდეს სტუდენტების პოლიტიკური კრიტიკული აზროვნების უნარების ხარისხსა და, შესაბამისად, მათ მიერ შექმნილ კონკრეტულ პოლიტიკურ ნარატივებს შორის. ამ კვლევაში განხილული პოლიტიკური ნარატივები არ მიუთითებს რაიმე კონკრეტულ პოლიტიკურ კუთვნილებაზე, არამედ, ისინი წარმოადგენენ მონაწილეთა იდეებისა და შეხედულებების დიაპაზონს. მეთოდოლოგია და კვლევის დიზაინი ეფუძნება კორელაციის ანალიზსა და რაოდენობრივი კვლევის ტიპს. რაოდენობრივი კვლევა დაყოფილია სამ მთავარ თემატურ ბლოკად, რომლებიც წარმოდგენილია ზოგადი ინფორმაციის, პოლიტიკური ინფორმაციის მიმართ კრიტიკული აზროვნების ტენდენციებისა და ბოლოს, პოლიტიკური ნარატივებისა და შეხედულებების ბლოკის სახით. პასუხების ანალიზი და კოდირება განხორციელდა MS Excel-ის გამოყენებით. ყველა მონაწილე ანონიმური დარჩა და დასკვნები გამოტანილი იქნა ინდივიდუალური პასუხების ჯაჭვური ანალიზითა და თითოეული ბლოკიდან ზოგადი თემატიკის გათვალისწინებით. აღსანიშნავია, რომ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 41-მა სტუდენტმა, შესაბამისად ეს კვლევა არის მცირე მასშტაბის. საქართველოში ახალგაზრდების პოლიტიკურ ინფორმაციასთან კრიტიკულად ურთიერთობის შესახებ კვლევა კვლავ შეზღუდულია. ეს კვლევა ახალ ხედვას ქმნის იმის შესახებ, თუ როგორ განმარტავენ პირველკურსელი სტუდენტები პოლიტიკურ ამბებს და იყალიბებენ ნარატივებს, რაც ღირებულ მასალას წარმოადგენს, მასზე სამომავლო კვლევების დაშენების პოტენციალით.

ცრუ ინფორმაცია დეზინფორმაციის სახით

ცრუ ინფორმაციის გლობალური გავრცელება უფრო და უფრო რთულს ხდის მის განმარტებას და სხვადასხვა მანიფესტაციების სისტემურ ინტერპრეტაციას. The Collins Dictionary განმარტავს ცრუ ინფორმაციას, როგორც ცრუ და გასენსაციურებულ ინფორმაციას, რომელიც წარმოდგენილია, როგორც ნამდვილი ჟურნალიზმი (Collins 2017). ტერმინის ფართოობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მისი კატეგორიებად დაშლა, რათა ხერხდებოდეს კონტექსტის წარმოდგენა მისი სხვადასხვა ფორმისთვის. ასეთი კატეგორიზაცია ამარტივებს ცრუ ინფორმაციის ამოცნობას მთავრობისთვისაც და ინდივიდისთვისაც და ხელს უშლის მის გავრცელებას. ცრუ ინფორმაცია გავლენას ახდენს ინდივიდებზე, ორგანიზაციებსა და მთავრობებზე. კონცეპტუალურად იგი შეიძლება დაიყოს ზოგად და ელემენტარულ ტერმინებად და გაანალიზდეს სამ ძირითად განზომილებაში. ზოგადი ტერმინების კატეგორია მოიცავს ფართო განმარტებებს, რომლებიც აღწერენ ზოგად ცრუ ინფორმაციას, ხოლო ელემენტარული ტერმინები კი აიდენტიფიცირებს სპეციფიურ განმარტებებს ყველა სახის ცრუ ინფორმაციისთვის. მისი ბუნების გამო, ელემენტარული ტერმინები ხშირად გვხვდება ზოგად ტერმინებშიც (Aïmeur, Amri & Brassard 2023:4,6-7). ცრუ ინფორმაციის ანალიზი ეფექტურად ხერხდება სამი ძირითადი განზომილების შესწავლით, ესენი კი არის განზრახვა, საკითხის ცოდნა და ავთენტურობა. ეს სამი განზომილება ფარავს კატეგორიებს, როგორიცაა დეზინფორმაცია, მისინფორმაცია და მალინფორმაცია. დეზინფორმაცია და მისინფორმაცია ძირითადად განსხვავდება განზრახვით. რაც შეეხება ცოდნას და იმას, თუ როგორ გადმოსცემს მედია სიცრუეს, ორი ძირითადი სცენარი იკვეთება. ერთი მხრივ, საინფორმაციო შინაარსის ინფორმაცია შეიძლება იყოს პიროვნული, სუბიექტური მოსაზრება, რომელიც აღიქმება არასწორად, როგორც ფაქტად. მეორე მხრივ, ობიექტურად სწორი ფაქტი შეიძლება იყოს წარმოდგენილი ისე, რომ მისი ინტერპრეტაცია არასწორად მოხდეს. საბოლოოდ, როდესაც ინფორმაცია შეიძლება გადამოწმდეს მისი ბუნების მიხედვით, სიახლის ავთენტურობა შეიძლება დადგინდეს (Aïmeur, Amri & Brassard 2023:7-8).

ძირეული კრიტერიუმების ჩამოყალიბება შესაძლებელს ხდის მკაფიო და სისტემური განმარტებების ჩამოყალიბებას სხვადასხვა კატეგორიის ცრუ ინფორმაციისთვის. ამ კატეგორიებს შორის

დეზინფორმაცია არის ყველაზე ხშირად გავრცელებულია და წარმოადგენს ამ კვლევის მთავარ ინტერესს. დეზინფორმაცია, განმარტებული, როგორც ცრუ ინფორმაციის ტერმინოლოგიის კრიტერიუმი, წარმოადგენს ცრუ ინფორმაციის სახეობას, რომელიც შექმნილია რათა გავრცელდეს და ზიანი გამოიწვიოს (Wardle & Derakhshan 2017:5). დეზინფორმაცია მეტი ეფექტურობისთვის უნდა შეიცავდეს გარკვეული სიმართლის ნაწილს მაინც. დეზინფორმაცია პოლიტიკის ჭრილში შესაძლოა იწვევდეს აღრვევას, წარმოადგენდეს პოლიტიკური ოპოზიციის დისკრედიტაციის წყაროს, გავლენას ახდენდეს ხმის მიმცემებზე ან ამწვავებდეს გლობალურ თუ ადგილობრივ კონფლიქტს. მისით შეიძლება მოხდეს ინფორმაციული პარალიზი, რაც კიდევ უფრო დიდი იარაღია მასების დაბნევისთვის (The Disinformation Age 2021:3).

დეზინფორმაცია და საქართველო

საქართველო კლასიფიცირებულია, როგორც „ნაწილობრივ თავისუფალი“ დემოკრატია, პოლარიზებული მედიის ლანდშაფტით, რომელიც წარმოადგენს ღია კარს სხვადასხვა გზის ცრუ ინფორმაციისა და განსაკუთრებით დეზინფორმაციისათვის. ქვეყნის გეოპოლიტიკური მნიშვნელობის მიუხედავად, ადგილობრივი კვლევები ამ საკითხთან დაკავშირებით არის ზედმეტად მწირი, მხოლოდ ერთი სიღრმისეული კვლევით, რომელიც 2020 წელს გამოქვეყნდა. სამოქალაქო ჯგუფებმა არაერთხელ გაუსვეს ხაზი ოლიგარქიის მაგვარი გავლენის არსებობაზე მედიაში, განსაკუთრებით იმას, რომ „ქართული ოცნების“ ლიდერები იყვნენ დანიშნული მნიშვნელოვან პოზიციებზე საზოგადოებრივ მაუწყებლობაში.

2020 წლისთვის სამთავრობო კონტროლმა და ისეთი საზოგადოებრივი მაუწყებლობის გაპოლიტიზირებულებამ, როგორიცაა „რუსთავი 2“, კიდევ უფრო გაამძაფრა ეჭვები მედიის თავისუფლებასთან დაკავშირებით (Bradshaw et al. 2020:141-144). ამავდროულად, ის ფაქტი, რომ საქართველოს მოსახლეობის 60% იყენებს არცთუისე სანდო სოციალურ მედიას, როგორიცაა Facebook, უცხოური და ლოკალური სიახლეებისთვის, მატებს კიდევ ერთ ფენას ინფორმაციულ დაბნეულობაში (Bradshaw et al. 2020:141-144, 331-332). ძირითადი ფაქტორი ცრუ ინფორმაციის გავრცელებაში ჯერ კიდევ არიან რუსეთთან დაკავშირებული ერთეულები, მაგრამ ლოკალური ეკვივალენტები ასევე ჩართულნი არიან კოორდინირებულ დეზინფორმაციის კამპანიებში, რომლებიც ხშირად არიან პირდაპირ კავშირში „ქართული ოცნების“ პარტიასთან და სარეკლამო ფირმა „პანდასთან“ (Bradshaw et al. 2020:141-144).

საზღვარი რუსეთის ნარატივებსა და ლოკალურად გენერირებულ დეზინფორმაციას შორის ბუნდოვანია, რაც უფრო კომპლექსურს ხდის ინფორმაციულ ლანდშაფტს საქართველოში. ამასთან ერთად, ნაციონალური ჯგუფები ასევე აქტიურად იყენებენ სოციალურ ქსელებს, რათა ლეგიტიმური გახადონ პოლარიზებული მესიჯები დემოკრატიული პრინციპების ქვეშ შეფარვით, რაც იწვევს კვლავ უფრო ძლიერ პოლარიზაციას და საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ განვითარებას (Gozalishvili 2021:4). ექსპერიმენტები და პლატფორმებზე გვერდების წაშლა აჩვენებს იმას, თუ რამდენად მარტივად ვრცელდება ყალბი ისტორიები და თუ რამდენად მარტივად ქმნის ეს დაძაბულობას ქართულ ციფრულ სივრცეში (Topuria 2020). ამასობაში, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და ჟურნალისტები მიზანმიმართული შევიწროების წინაშე დგანან. ტენდენცია, რომელსაც ამჟამად ამწვავებს შემზღუდავი „უცხოელი აგენტების“ შესახებ კანონმდებლობა, რაც ძირს უთხრის მათ როლს დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის საქმიანობაში (Light 2025). იმ რეალობაში, სადაც არასამთავრობო ორგანიზაციების და სამოქალაქო საზოგადოების როლი დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლაში უდიდესია. ეს არა მხოლოდ საქართველოს მარცხად შეიძლება ჩაითვალოს, არამედ მავნე გლობალური ტრენდის გაძლიერებად, რომელიც სწორი ინფორმაციის ძიების და მისგან გამომდინარე ყველა მნიშვნელოვან პრინციპს ეწინააღმდეგება.

კვლევა

იმის შემდეგ, რაც მოხდა 17 კითხვიანი კითხვარის შემუშავება, რომელიც გაიყო სამ ძირითად ბლოკად, შესაძლებელი გახდა მნიშვნელოვანი კავშირების დანახვა პასუხებსა და განმეორებად ნარატივებს შორის, რომლებიც გამომჟღავდა სტუდენტების პოლიტიკურ ინფორმაციასთან ურთიერთქმედებაში. პირველი ბლოკის მიზანია სტუდენტების პოზიციის დადგენა სპექტრზე მათი პოლიტიკური აქტივიზმის მიხედვით. ეს ხერხდება მათი პოლიტიკური ჩართულობის შეფასების აღწერით და იმით, თუ რამდენად ხშირად ადევნებენ ისინი თვალს პოლიტიკურ სიახლეებს. ამ ინდიკატორებზე დაყრდნობით, მოხდა მონაწილეების კატეგორიზაცია სამ ჯგუფად: სტუდენტები მაღალი, საშუალო და დაბალი პოლიტიკური აქტივიზმის მიდრეკილებებით.

სტუდენტებმა, რომლებიც მოხვდნენ მაღალი აქტიურობის კატეგორიაში, გამოავლინეს მუდმივი ჩართულობა პოლიტიკურ მოვლენებში. ისინი ხშირად იყენებდნენ რამდენიმე წყაროს მიღებული ინფორმაციის გადასამოწმებლად. საშუალო აქტიურობის სტუდენტები ხანდახან იყვნენ ჩართულნი პოლიტიკურ აქტივობებში. ეს სტუდენტები არ ამახვილებდნენ წყაროების მრავალფეროვნებაზე ყურადღებას ინფორმაციის მიღებისას და ძირითადად ეყრდნობოდნენ მარტივად ხელმისაწვდომ ხერხებს. რაც შეეხება მცირე ჩართულობის სტუდენტებს, მათ გამოავლინეს მინიმალური ჩართულობა პოლიტიკურ პროცესებში. ამ კატეგორიის სტუდენტები ხშირად პასიურად იღებდნენ პოლიტიკურ ინფორმაციას ან სოციალური ქსელების გამოყენებით იძიებდნენ მას.

მხოლოდ გათვითცნობიერებულობა სრულად ვერ ასახავს პოლიტიკური კრიტიკული აზროვნების სიღრმეს. ამაში უკეთ ჩასაღრმავებლად მეორე ბლოკი შეისწავლის იმას, თუ რა მეთოდებს იყენებენ სტუდენტები ინფორმაციის გადასამოწმებლად, რაც საშუალებას იძლევა, განვასხვავოთ ანალიტიკური ძალისხმევის სხვადასხვა დონე. მჟღავნდება სამი კატეგორია: დიდი ძალისხმევის მეთოდი, რომელიც მიუთითებას უფრო მაღალ კრიტიკულ აზროვნებაზე პოლიტიკასთან მიმართებით და მოიცავს ოფიციალური სამთავრობო წყაროების შემოწმებას, რეცენზირებული სტატიების კითხვას და ინფორმაციის სისწორის მუდმივ შეფასებას. საშუალო ძალისხმევის მეთოდი, რომელიც წარმოადგენს საშუალო დონის პოლიტიკური კრიტიკული აზროვნების უნარებს, გულისხმობს ონლაინ წყაროების, როგორიცაა Google და Youtube, გამოყენებას, რაც ასახავს წყაროების შეფასების ზომიერ ჩართულობას. რაც შეეხება მცირე ძალისხმევის მეთოდს, იგი წარმოადგენს სოციალურ ქსელებში არსებული კომენტარების, კრიტიკულობის გარეშე სხვების აზრის გაზიარებისა და წყაროების სრულიად არგადამოწმების ტენდენციას, რაც მიუთითებს ლიმიტირებულ კრიტიკულ ჩართულობაზე. ეს კატეგორიზაცია არა მხოლოდ სტუდენტების ინფორმაციის შეფასებისადმი კოგნიტური მიდგომების გააზრებას წარმოაჩენს, არამედ საშუალებას იძლევა, ნიუანსურად წარმოჩინდეს, თუ როგორ ვლინდება პოლიტიკური კრიტიკული აზროვნება ინფორმაციის შეგროვების პრაქტიკულ ქცევაში.

მესამე ბლოკი მიზნად ისახავს სტუდენტების მიერ გაცემული ღია კითხვების შეგროვებას, რომლებიც მოიცავს და ნათლად წარმოაჩენს სტუდენტთა პერსპექტივას საკუთარ სიტყვებში. ამ თვისებრივმა კომპონენტმა მონაწილეებს უფრო მეტი თავისუფლება მისცა, გამოეხატათ პოლიტიკური ინფორმაციის შესახებ საკუთარი გაგება და წარმოეჩინათ საკუთარი პოლიტიკური ნარატივები. ამ პასუხების რაოდენობრივ მონაცემებთან ერთად, ანალიზით შესაძლებელი გახდა დაკვირვება, თუ როგორ აყალიბებენ ინფორმაციის მოხმარებისა და შეფასების ინდივიდუალური სტრატეგიები სტუდენტების მიერ აგებულ უფრო ფართო ნარატივებს, რაც უფრო ყოვლისმომცველ სურათს ქმნის პოლიტიკურ კრიტიკულ აზროვნებასა და ნარატივის ფორმირებას შორის ურთიერთქმედების შესახებ.

დასკვნა

საბოლოოდ, მონაწილე 41-მა სტუდენტმა, მიუხედავად მცირე საკვლევი ნიმუშისა, წარმოაჩინა პოლიტიკურ ჭრილში კრიტიკულ აზროვნებასა და პოლიტიკურ ნარატივებს შორის კავშირის მნიშვნელოვანი ტრენდი. რაც უფრო მაღალია პოლიტიკური კრიტიკული აზროვნება ამ კუთხით, ანუ სტუდენტები, რომლებიც აქტიურად აფასებდნენ ინფორმაციას და იძიებდნენ სანდო წყაროებს, ავლენენ ღრმა რეფლექსიასა და ჩართულობას კომპლექსურ თემატიკებში. მათ ხშირად ჰქონდათ საქართველოს განვითარების კონკრეტული იდეები და გამოხატავდნენ დამოკიდებულებას რუსული ძველი კავშირებისგან თავის დაღწევისა და ევროპული მომავლისკენ. სტუდენტები, რომლებსაც ჰქონდათ საშუალო კრიტიკული აზროვნების უნარები, არ იყვნენ დარწმუნებული საქართველოს განვითარების გზასთან მიმართებაში. მათ ჰქონდათ ზოგადი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორი უნდოდათ საქართველოს მომავალი ყოფილიყო, მაგრამ არ ჰქონდათ ან არ აჩვენებდნენ ხელშესახებ გზებს ამის მისაღწევად.

სტუდენტები, რომლებიც ავლენდნენ უფრო დაბალ პოლიტიკურ კრიტიკული აზროვნების დონეს, არ აფიქსირებდნენ საკუთარ პოზიციას ან სცემდნენ ძალიან ზოგად, ხან პოპულისტურ ან სახუმარო პასუხებს. ეს ტენდენცია არა მხოლოდ ნარატივების სიღრმისეულ განსხვავებებზე მიუთითებს, არამედ ასევე აჩვენებს პოლიტიკური კრიტიკული აზროვნების პოტენციურ გავლენასაც იმაზე, თუ როგორ აღიქვამენ და ურთიერთობენ სტუდენტები პოლიტიკურ იდეებთან. მნიშვნელოვანია, რომ კვლევამ ჯგუფებს შორის იდეოლოგიის თვალსაზრისით რადიკალური განხეთქილება ვერ აღმოაჩინა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ პირველი კურსის სტუდენტებს შორის პოლიტიკური პერსპექტივები კვლავ შედარებით ცვალებადია. შეზღუდული მასშტაბის მიუხედავად, ეს კვლევა ღირებულ საწყის წერტილს წარმოადგენს იმის გასაგებად, თუ როგორ აყალიბებს პოლიტიკური ამბების კრიტიკული შეფასება შეხედულებებსა და ნარატივებს, რაც ხაზს უსვამს მომავალი, მასშტაბური კვლევების შესაძლებლობებს, რათა კიდევ უფრო სიღრმისეულად იქნას შესწავლილი ეს დინამიკა.